მატჩი, რომელიც არ უნდა წაგვეგო

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 2 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი) 1:2 (1:1).

“სპარტაკი”: ივანოვი, კრუტიკოვი, მასლიონკინი (პეტროვი), სოლდატოვი, ჩისტიაკოვი, ნეტო, მოზერი, ისაევი, სევიდოვი, კონოვალოვი, ილინი.

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი (ჟორდანია).

მსაჯი: ი. გრიგორიევი (ბაქო)

თბილისის “დინამო” და მოსკოვის “სპარტაკი” ამჟამად იმყოფებიან მეორე ექვსეულში და მოკლებული არიან საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის საშუალებას. თავისთავად ეს სამწუხარო ფაქტია ამ საუკეთესო გუნდების მრავალრიცხოვან მოყვარულთათვის, მაგრამ მათი შეხვედრა, რომელ ექვსეულშიც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, ყოველთვის ყურადღების ცენტრში იმყოფება.

თუ თვალს გადავავლებთ “სპარტაკისა” და “დინამოს” ბრძოლის ისტორიას, საერთო ბალანსი სპარტაკელთა სასარგებლოდ იყო – 19:14, ხოლო 2 ოქტომბერს მათ თავიანთ აქტივს კიდევ ერთი მოგებული მატჩი შესძინეს და ანგარიშიც შესაბამისად გაიზარდა – 20:14.

მაგრამ საქმე ამ “ისტორიული” ანგარიშის ზრდაში არაა. დინამოელებმა ამჯერად წააგეს მატჩი, რომელიც მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა წაეგოთ, რომელშიც მათ დიდი უპირატესობა ჰქონდათ და ამ უპირატესობიდან გუნდმა საბოლოოდ მინდვრიდან წაიღო 0 ქულა.

მატჩის დასაწყისი, მისი პირველი ნახევარი თბილისელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს. საერთო სისწრაფესა და ტემპში მასპინძლები გაცილებით სჯობდნენ მოწინააღმდეგეებს, მათი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა შუა მინდორი, რომელსაც ისინი დარწმუნებულად ფლობდნენ გრძელი გადაცემებისა და კარგი დრიბლინგის წყალობით. საქმე იქამდეც მივიდა, რომ “სპარტაკმა” დათმო მინდვრის ცენტრი და ნახევარმცველები დაწია უკან, საჯარიმო მოედნისაკენ, სადაც მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა თბილისელთა თავდასხმასა და მოსკოველთა დაცვას შორის.

ამ ბრძოლაში ყურადღებას იპყრობდა “დუელიანტთა” ორი წყვილი: მესხი-კრუტიკოვი და ბარქაია-ნეტო. მოსკოველი მცველები პერსონალურად, ნაბიჯის მოუცილებლივ იყვნენ მიმაგრებული თავიანთ მეტოქეებზე და ორივე სისტემატურად აგებდნენ პირისპირ შეტაკებას როგორც სისწრაფეში, ისე დრიბლინგსა და კომბინაციების გათამაშებაში. მესხის მხრიდან განუწყვეტლივ მოდიოდა ზუსტი გადაცემები ზედ კართან, ხოლო ბარქაია ვრცელ ტერიტორიაზე განაგებდა თავდასხმის თამაშს. სწორედ ამის შედეგად ჰქონდათ “დინამოს” ფორვარდებს მომენტები, ბურთის გატანის აუარებელი შესაძლებლობა, როცა საკმარისი იყო თითოეულ მათგანს სულ ცოტა დაკვირვება და სიზუსტე გამოეჩინა ანგარიშის გახსნისათვის, მაგრამ მათ არც ერთი გამოიჩინეს, არც მეორე და კიდევ მეტიც, მესხმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც დაინიშნა მასლიონკინის მიერ კალოევის ხელით დაჭერისას. მესხმა, უაღრესად ზუსტი, ძლიერი და მკვეთრი დარტყმის მქონე პენალტისტმა, რატომღაც მოისურვა ცრუ მოძრაობით ნელა დაერტყა კარში. აქედან კი არაფერი გამოვიდა. მეკარე ივანოვმა (რომელიც, სხვათა შორის, თბილისშია გაზრდილი და ოფიცერთა სახლის გუნდში თამაშობდა) ადვილად აიღო ბურთი.

როგორც ეს ხშირად ხდება, დინამოელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ თამაშში, სახიფათო მომენტები მოწინააღმდეგის კართან იქმნებოდა, ხოლო ბურთი კი გატანილ იქნა მათს კარში. და გატანილ იქნა სულ იოლად: მოზერმა მარჯვნიდან მიაწოდა საჯარიმო, კოტრიკაძე არასწორად გამოვიდა კარიდან და ილინმა თავით გახსნა ანგარიში – 1:0.

ეს გოლი სულ მალე იქნა გაქვითული კალოევის მიერ ზუსტი დარტყმით შორი მანძილიდან – 1:1.

მეორე ტაიმში მოსკოველები გაცილებით უკეთ თამაშობდნენ შუა მინდორში, გამოკეთდა მათი საქმე დაცვის მარჯვენა ფლანგზეც, სადაც მესხმა ფეხი იტკინა და სავსებით გამოეთიშა ბრძოლას. მისი სათანადოდ შეცვლა ჟორდანიამ ვერ შეძლო.

თბილისელთა შეტევებმა, საერთო შეთამაშებამ იკლო, თავდამსხმელები შეუდგნენ ბურთის ზედმეტ ტარებას, რამაც გადამდები სენივით გადაინაცვლა დაცვაშიც. ერთადერთი, რომელიც კარგად განაგრძობდა თამაშს უკანა ხაზზე, ეს იყო სიჭინავა, ხოლო ხოჭოლავა და ჩოხელიც კი, რაღაც გაუგებარი მიზეზით ატარებდნენ ბურთს საჯარიმო მოედანზე სახიფათო სიტუაციაში მაშინ, როცა საჭირო იყო მისი დაუყოვნებლივ მოგერიება და ამას ორჯერ კინაღამ გოლი მოყვა მოზერისა და ისაევის გარღვევების შედეგად, მაგრამ მოზერის გარღვევა ბოლოს და ბოლოს მაინც დამთავრდა გოლით. იგი

გაექცა ხოჭოლავას, გადააწოდა ცენტრში, სადაც ამ დროს არ იმყოფებოდა ჩოხელი და გადამწყვეტი ბურთი გატანილ იქნა – 2:1.

ეს მატჩი კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ თბილისის "დინამოს" პოტენციური შესაძლებლობანი და მისი შედეგი აშკარად უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. როგორ შეიძლება გუნდს ჰქონდეს ასეთი უპირატესობა, ამდენი შესაძლებლობა და დამარცხებული და თავჩაქინდრული წავიდეს გასახდელში.

ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ წინაა ორი მეტად საპასუხისმგებლო მატჩი თასზე: სტალინოს "შახტიორთან" და, სრული იმედი გვაქვს, თასის ფინალისტთანაც.

რ. ქორიძე.
"ლელო", 4 ოქტომბერი, 1960 წ.